«Alternative Wave» 2015

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, ინდუსტრიული პლატფორმა “ალტერნატიული ტალღა”/”Alternative Wave” აცხადებს პროექტების მიღებას.

ინფორმაცია / კონცეფცია:

ალტერნატიული ტალღის ფოკუსს წარმოადგენს ინოვაციური, ტრანსმედია/ქროს-მედია კინო-პროექტების განვითარება და ხელშეწყობა. მონაწილეებს საშუალება მიეცემა შეხვდნენ დარგის ექსპერტებს. ალტერნატიული ტალღის ფარგლებში მოხდება პროექტების ყველა სხვა მედიაში განვითარების პოტენციალის გამოვლინება, ალტერნატიული დაფინანსების და დისტრიბუციის სტრატეგიის დაგეგმვა. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლების მოძიება და ჩართვა.

პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

კინო პროექტი (სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაცია) რომელსაც აქვს განვითარების პოტენციალი transmedia, crossmedia ან სხვა ალტერნატიული ფორმით.

მონაწილეები:

რეჟისორისა და პროდუსერის გარდა შეიძლება პროექტი წარადგინოს იდეის ავტორმა, ფოტოგრაფმა, ვებ-დიზაინერმა, მუსიკოსმა, თამაშების ავტორმა, მხატვარმა, პერფორმერმა ან სხვა არტისტებმა.

მონაწილეობის პირობები:

ალტერნატიული ტალღის სამუშაო ენა არის ინგლისური.

ალტერნატიული ტალღა აანაზღაურებს პროექტიდან ორი წარმომადგენელის განთავსების და კვების ხარჯებს.

მოთხოვნილი საბუთები ინგლისურ ენაზე:

• პროექტის მოკლე აღწერილობა (1 გვერდამდე) და მისი განვითარების ალტერნატიული გზა.

• პროექტის წარმომადგენლების (რეჟისორის, პროდუსერის ან სხვა არტისტის) სამოტივაციო წერილები.

• ფილმის სინოფსისი.

• პროექტის სავარაუდო ფინანსური გეგმა.

• მონაწილეების CV, ფოტოსურათი.

• მონაწილეების წინა ნამუშევარი. (online link)

ჩატარების თარიღი და ადგილი:

ალტერნატიული ტალღა ჩატარდება ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, ბათუმში, 2015 წლის 14 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით.

პროექტების მიღების საბოლოო ვადა:

5 აგვისტო, 2015 წ.

პროექტები გამოგზავნილი უნდა იყოს ერთ .doc ფაილად შემდეგ მისამართზე:
alternativewavebiaff@gmail.com